



— ერთი თვის მერა რომ დაიბარე, მაგის შესაფერი აღბილი გე-
ნება?!

— ერთი თვის მერა ან მე გამათავისუფლებან, ან იმას, ვინც
დამირება!

ამპობრული შარში ბ. ფირცხალაშვილი



**სალოგო სტრიქონები — 50 წლის მუხრან
გ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ს**

შენ, ვინაიდან, დუნიაზე მამულს აღმერთებ, —
არ შემიძლია, მე დღეს შენზე რომ არ ავმდერდე!

„ვალდებულია, — პოეტს ყველა მოეპყრას ნაზად!“ —
ქმნა კი ამისი ზოგიერთებს არ მოსდით აზრად!

შენ სამშობლოსას წარმოადგენ შნოსა და ლაზათს!
ერთი მისხალიც არ გაქვს სხვისი! — შენი გაქვს, რაც გაქვს!

„ვინც სამშობლოთი, სამწუხაროდ, არაა ავად“,
ის შენი ლექსით ვერ იწამლებს! — უწამლოდ წავა!

ღირსებას სხვისას გრძნობ და საფლავს არავის უთხრო!
„სახელი შენი არასოდეს გახდება უტყვი!“

მაღალი რომ ხარ და ქათქათებ, — გიხდი მაღარჩხი
(„ვერ იქათქათებ, თუ არა ხარ, თურმე, მაღალი!“)

შენ, ვინაიდან, ღვინოებში კახურს აღმერთებ, —
კახური ღვინით გადღეგრძელებ, გულქართლ-კახეთო!

ჩემგან ჩაუქრობ ქებად მიიღე ლექსი ესე!
შენი ლექსებით ხდება აფეთქებები მზეზე!

ნათქვამი შენი იბარტყებს და შენი ოცნება
ახდება! — მუხა კიდევ უფრო შეიმოსება!

დიდხანს იცოცხლე შენ, — ხანგრძლივი სიცოცხლის ღირსო, —
როგორც შენ გხურს და შენს სამშობლოს როგორც სურს, — ისე!

* * *

შენ „ძალგის სრულ-ქმნა სიტყვათა, გულისა გახაგმირეთა!“
შენც თქვი ქართველის სათქმელი, თუ ქართველთაგან ვინმემ თქვა!

შენს „ჰიგორიან კალმის მოსმას“, „მძლავრ, ღონიერ, მსუნთქავ ლექსებს“
უკვდავების სხივი მოსავს, ჩემო მუხრან, უმთავრესად!

იწვი ქართული მიწისთვის! — ანათებ ამა წვის ფახად!
„მიწა არ ყველა მიწაა, მიწაც არის და მიწაცა“.

„ნადიდგორალ, ნაშამქორალ“ სისხლს, ქართულ სისხლს, „ნად არ
დაღვრილს“ —
დაუმცხრალი, მოხმაურე შენი სისხლი გადასძახის!

თხემით ტერფამდე პოეტი და საქართველოს მსახური —
ზოგი ქართველის სიგლახეს „ორი ცრემლიდან გაპყურები“ —

ცილისწამებით, ბეზღებით უძღებს — ძინავს ყურზე და მარტო ხინჯს
ხედავს!
„როდემდე უნდა ეძინოს ყურზე?“ „როსდა ეღირსოს მას გაღვიძება?“

არ მინდა კაცი ისეთი, ისეთი ქალი არ მინდა,
ვინც იტყვის, მუხრან, შენს „აუგს ენითა ქარიანითა“!

ბევრჯერ გატკინეს შენ გული და ბევრჯერ დაგამწუხარეს!
„დიდება მოთმინებასა შენსა“, სულდილო მუხრანო!

მამულიშვილს ნაღდს და მქუხარს, უღელმძიმეს, უღალატოს
და ქართული ლექსის ვულკანს — გაგმარჯოს — მუხრან ბატონს!

გაუმარჯოს შენს გადახდილ, გადასახდელ ცხარე ბრძოლებს,
შენს ათასი ფიქრის აღმძვრელ „1882“-ს!

ღულს და მაჭარძალიანობს ცეცხლოვანი სისხლი შენში!
მუხრან მაჭავარიანო, ამუხრუქებ სიკვდილს ლექსით!

საშველს არ გაძღვეს მამულზე ფიქრი და მშვიდი ძილით აღარ გაძინებს!
როდესაც ღუმხარ დაფიქრებული, ღუმილი შენი რეკავს მაშინაც!

* * *

„ძელს ჰგავს უღბოღველს“ შენი წიგნი (გაძღებს ეს ძელი)
კელაპტრიანი სტრიქონები მასზე ტაძრობენ!

სამაყოა, აქამომდე „რაც შენ შეხდელო!“ —
ამიერიდან შენ იცი და შენმა კაცობამ!“

* * *

მე გულწრფელად დაგლოცე და ნუ დამემდურები! —
„არაფერი გულწრფელი კაცს არ გაემტყუნება!“

მინაწერი:

ღმერთი იყო უხალისოდ და ნატრობდა მუხრანის წიგნს..
(ღმერთი მუხრანს აღმერთებს და ყველაფერი უყვარს მისი!)
ძლივს უშოვა წიგნი როცა შანსიანმა ანგელოზმა, —
ღმერთს ძალიან გაუხარდა.. წაიკითხა, — გამუხრანდა!

ზაურ ბოლქვაძე

ხ ე ლ ი მ ი ა წ ე რ ა

— საგზური აგვისტოში თუ გნებავთ, ცნობა უნდა მოძიტა-
ნოთ, ცნობაში კი აღნიშნული იყოს, რომ დასვენება თქვენზე ცუ-
დად არ იმოქმედებს! ჰო, რა გაგიკვირდა, ბიძია?! ჭრელია ქვე-
ყანა, მრავალნაირია ხალხი!.. — მეუბნება იგი.

ჩემს გაკვირვებას საზღვარი მართლაც არ ჰქონდა, მაგრამ,
რას იზამ, ცნობა საჭიროა!

— რომელი ზღვისპირას აპირებთ დასვენებას? — მკითხა მან
და ტელეფონმაც დარეკა. ლაპარაკი დიდხანს გაგრძელდა. კარგა
ხანს ჭერში ვიყურებოდი, მერე კედელს ჩამოვაცოლე თვალი და
რუკაზე აღნიშნული შავი ზღვა რომ დავინახე, გამიხარდა. მან
შემაძინა და ფანქრით მიმანიშნა. თვალი და ფანქრის წვერი
ერთ წერტილს ხვდებოდნენ.

— ასეთი ცნობის მისაღებად ცნობა საჭირო, რომ შავი
ზღვა მარილიანია, ან პირიქით. იმიტომ, რომ თქვენ ივადმყო-

ფობის ისტორიაში აღნიშნულია: „მარილების დაგროვება აქ-
ვსო“.


— ესე იგი, მე პირიქით ცნობა მჭირდება?!

— დიახ! — იყო პასუხი, — მაგრამ ასეთი ცნობა ძალზე გა-
გიჭირდებათ! ჩემი ვალია, დაგარიგოთ და სწორ გზაზე დაგაყუ-
ნოთ, ბიძიკო! თქვენ უფრო ადვილად მოახერხებთ იმ ცნობის
მიღებას, სადაც აღნიშნული იქნება, რომ „შავი ზღვა მარილია-
ნია“, მე კი გაგიკეთებთ ცნობას, რომ თქვენ მარილები გესაჭი-
როებათ!

ათასი მაღლობა გადავიხადე და ათასი ნაცნობიც გავი-
ჩინე.

— წესების ცოდნა იოლი საქმე არ გეგონოთ! — თქვა მან და
ავგისტოში გასაცემ ცნობას დეკემბერში მოაწერა ხელი.

შანი სინარულიძე



იმ ნოქრის მისამართით
მადლობის თქმაც კი გვემართებს,
ყოველთვის კილო ვაშლში
ზუსტად რომ მანეთს გვართმევს.

აი, რა არის საქმის
თვით რაობა და არსი:
ჩვიდმეტი შაურია
ვაშლის ნამდვილი ფასი.

ჰოდა, წონაში თუკი
არ არის მრგვალი ციფრი,

საანგარიშოდ მაშინ
მეტხანს გვჭირდება ფიქრი.

დრო კი რომ ძვირფასია,
დახლის მუშაკმაც იცის
და ფასის დამრგვალებით
მასვე გვიზოგავს ისიც.

ამ ნუგბარ ხილთან ერთად,
თბილ ღიმილს გვატანს თანაც!
სამი შაურის გამო
ღირს ტვინის ჰყვლება განა?!

შოთა ამირანაშვილი

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

აგენტი — მეტსახელი ზოგიერთი სიდდერისა, რომელიც სიძის ოჯახში მიმართავს აქტიურ დაზვერვას, დივერსიებსა და სხვ.

აბრაზი — თავის ტვინის დაავადების გამო წერის უნარის დაკარგვა, გრაფომანები, როგორც წესი, ამ სენით არ ავადდებიან.

აღაჯო — იტალიური სიტყვაა, ქართულად „არ დაჯდეს“ ნიშნავს, იყენებენ ბალეტში ლირიკული ცეკვის დროს.

აპტორი — კაცი, რომელიც რაღაცას დაწერს და უყარე მერე კაკალი!

აპტოცინსტირნა — რესპუბლიკის გარეთ ციტრუსების გატანის ტექნიკური საშუალება.

კუკური მსაკია (ქ. ფოთი)

„ლიტერატურა“ გაზეთი, 1 იანვარი, 1979 წ.

ისმინე, ბინის მებაწელო!..

იმ დილითაც, როგორც ყოველთვის, ხარებოვების ოჯახში ცოლქმრული თათბირი კამათში გადაიზარდა. ცოლი, გოგონა ხარებოვა, საყვედურით მიმართავდა ქმარს, ომარ ხარებოვს, უმადლესი განათლების დიპლომის მქონე კაცი სახლში როდემდის უნდა იჯდო!

— ეშმაკმა დალახვროს! ერთი სარფიანი ადგილი ვერ მიშოვია, მცირეხელფასიან სამსახურს კი რა თავში ვიხლი?! — მიუგო ბოღმამორეულმა ომარმა. — უსაქმობას მაინც ემჯობინება! — არ დაუთმო ცოლმა.

— უფულოდ ვერანაირ სამსახურს ვერ იშოვი! — წყალი გადაუწურა ქმარმა.

— ვისესხოთ სადმე!

— სესხს ჩასესხება უნდა! სხვა გზა არ არის, ეს ბინა უნდა გავყიდო!

— რას ამბობ, კაცო? ჩვენ სადლა წავიდეთ?!

— ბინას გავყიდით, მაგრამ ჩვენც შიგ ვიცხოვრებთ! — აქ ქმარმა დაწვრილებით გაანდო გოგონას თავისი ჩანაფიქრი.

ცოლი დათანხმდა და ორივე მუშტრის ძებნას შეუდგა.

ცხოვრებოვებს ბინა თბილისში, სოხუმის ქუჩაზე, № 8 სახლში აქვთ. სახლი ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს ეკუთვნის, მაგრამ მყიდველები მაინც გამოუჩნდნენ.

თაღლითების მიერ დაგებულ ანკესზე პირველად ეთერ რამიშვილი წამოეგო, მას დათვალა რეზინის „გასაყიდი“ ოთახი და ხუთი ათასი მანეთი დაუფასეს. ეთერმა ერთ კვირაში იშოვა საჭირო თანხა და უკლებლივ ჩააბარა ცოლ-ქმარს. სამაგიეროდ ისინი შეპირდნენ, ოთახს უახლოეს ხანში დაგიცილოთ.

ახლა ვალდოვ ბერიძე გამოჩნდა სოხუმის ქუჩაზე, ბინის მსურველს ამჯერად სამი ათას ხუთასი მანეთი დასცინცლეს და ისიც შეპირებით გაისტუმრეს, დანარჩენ თანხასაც მოიტან და შეგასახლებოთ.

აღქსანდრე წითლიძეც ადვილად წამოეგო ანკესზე და თაღლითებს სამი ათასი მანეთი ჩაუჩხრიალა უძირო ქისაში.

ეს რა დაუფასებელი ოთახი გვქონიაო, ერთმანეთს შესცინეს გოგონა და ომარ

ხარებოვებმა და ახლა ნანი ბროლაშვილს „დაუთმეს“ იგი ოთხი ათას მანეთად. იგივე ფასი გადაახდევინეს გივი კახიაშვილს; მიხეილ დათუნაშვილი კი უფრო გულუხვი აღმოჩნდა და პირვანდელი ფასი — ხუთი ათასი მანეთი გადაიხადა.

ვახტანგ სულიაშვილს იმდენი არ აღმოაჩნდა, მაგრამ ხარებოვებმა „უშელავათეს“: სამი ათას ხუთას მანეთს დასჯერდნენ, ხოლო ზაურ ფოცხვერაშვილი ისე ძალიან შეებრალოთ, რომ სამი ათას მანეთზეც დაყაბულდნენ. მერე კვლავ მომძლავრდნენ ეკონომიურად მუშტრები: ანგელინა ჯავიაშვილმა ოთხი ათასი მანეთი გაიმეტა, შოთა ბერიძემ — სამი ათას ხუთასი. გიორგი კაკაშვილმა, ნუგზარ მარტიაშვილმა და იაკობ ნაღბიაძემ რიგიანი თანხა დაუსახელეს ბინის აუქციონით გამყიდველ ხარებოვს და მიუთვალეს კიდევ თითოეულმა ოთხი ათას ოთხი ათასი მანეთი! თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამაო, თქვა ზაქარია სიხარულიძემ და კვლავ ხუთი ათასამდე ასწია ბინის მაზანდა, რაც ლევან ნოზაძესაც აღარ დაუწევია დაბლა — ხუთი ათასი მანეთი უკლებლივ ჩააბარა და ამით კიდევ ერთხელ გაახარა უკვე რამდენჯერ გახარებული ხარებოვები.


— ამაზე უკეთეს სამუშაოს სად ვიშოვი? — შესცინა ცოლს ქმარმა და კვლავაც დააპირა თოთხმეტჯერ „გასხვიებულო“, უქკუო მუშტრებისათვის სამოცდაერთი ათას ხუთას მანეთად მიყიდული ერთოთახიანი ბინა კიდევ ვინმესთვის შეეთავაზებინა, მაგრამ სწორედ აქ დააცემინა მართლმსაჯულების ჩახმახმა.

ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლომ, თ. შანიძის თავმჯდომარეობით, განიხილა თაღლითების საქმე და ომარ ხარებოვს ოთხი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. გოგონა ხარებოვამაც მიიღო დამსახურებული სასჯელი.

ასე რომ, ომარ ხარებოვმა ფულიც ჩაიჯიბა და „ახალი ბინაც“ მიიღო. ისინი კი, ვინც უუკლმართი გზით აპირებდნენ ბინის მიღებას, ბინას ვინდა ჩივის, უფულოდაც დარჩნენ.

3. ხმალაძე


ნახ. მ. აბაშიძისა



— ვითომ ანათ გავფიქვნი ეყოლებათ?!

— წაღს გავფიქვნი წაღს და იმის იმედში ანათ!

ნახ. მ. ამბროსიანი



— რა არის, კაცო, ახხლა ფასი?!

— შენც ერთგვარად საჩივრის წიგნი არ მომთხოვო!



— ჩემი ძვირილი ჯდობიერია მისთვის... მარტო ბაზრის მარცხენა კუთხეში...

მეზაპირის ჩივილი

სადგომი აქვს შენობა, მერყობს — აქვს, მარტო ბილიკი დარბაზის... მარტო ბილიკი დარბაზის... მარტო ბილიკი დარბაზის...

პუკინი ვრახაი

- იმერეთს ხანს დაიკლავდა გარეგარე უსამილი, სანამ შინაგან სამკეთილ-ბუნო საკმეო არ გაიხანა...

გიგლა ბახტაძე

საქორნილო მოგზაურობა

— სხვა ვინ არ არის, ცოლად უნდა შევიტოო — უთხრა ჩემი დამ დედამოძლი... — შავი ჩოგირი მკადრები, ბატონო! — ხანძარი მი-წაუხარა... — იცხადებოდა წელი, კრები ვარ და, ამ ხანს მანძილზე, მანძილ კოლეც არ ვამხატავ თავ-ზე...

ზანა უფრო და ვიდრე, მეორედ ჩემს გარეთ ზისს მხოლოდ, მესამედ — თავისი ბილიკის მძახალს, მხოლოდ, მესამედ... — ხანძარი ვეძებ ვე მოგზაურობაში... — შენ რაი არის დავაგდედე არ დავაგდედე, ჩემი შვილებიან ქალს ვირთავ, თანაც საყვარელი წინააღ-კეთს ცოლად ვეძებ და სხვათა კომპრომიტების შეს-და არ ვაგვირბები...

ფოტოკორესპონდენტი

— ერთი წუთით უნდა შევარწმუნოთ დიდ ბილმს მისი ქვეყნის ჩემვე იტყვიოთ არა, ან არ იტყვიან, მზე გაუცხტოთ! აქვთ ვინაოთი ახა, ამ ცელმდებანაშენებელ სკოლას შენობას მშენებელი შვეიცია კარგია, გარკია... — ზოგე ვერხვებ უნდა ვაგვიწავლოთ ახა, ახლა პირველი მოგზაურობა: ერთი შეხებით, იქნებ ამ კარგად ვაგვიანს ამ სანქცეფაცილი და მატერიალური საკითხები მოაზრებელი არა, არა, თუცა წე დან-რით, პირველი, ისეთი სანქცეფაცილი, თითქმის ათათის ეკოლოგებულობის დეპარტამენტი... მართლ კარგია ვიღებ ვმსაღობოთი...

ნა. შ. თორთაგაძის



თბილისში მშენებლობა

თითობარა ზღაპრები

ურბიდიული კონსულტაციები

კითხვა ჩემი მეზობელი დამით, ზღის დროს, გულგულს აგრძობდა გულგულსი მთავარი კაცივით... — მართალია, მართალია, მართალია... — მართალია, მართალია, მართალია... — მართალია, მართალია, მართალია...

ნაკიურაგები

მე თუკი ვარ მე ქრედიის გამოცდების თავგებობა, ახლა ზინას ვერ ტრუბა, ვერ შვეით თავგებობა... — მართალია, მართალია, მართალია... — მართალია, მართალია, მართალია... — მართალია, მართალია, მართალია...

კუნ-სტუდურონი ჰქვამს გაჯაგებზე, რაც დამაბრ-თავს, ცოლად დავკარგე, სამიოხანი ბინად და უბრა-ნდობი არის მანძილზე, ველოდები ვინამხარის დარ-ჩა... — ახ ენადავებ, დამარბაც და ერთ რაი არის მან-დრის ამ მოვლის მე კი შიდად ვიხსენებ უნდა ვუფერო... — ჩოგირი არ მინდოდა, ცოლად უნდა ვეგებოდი მე ვინამხარის იმე შენობის, ვეღარ მოვხარებო და ვბოლოდ და საკუთარი ცხოვრობი ველოდებო, ამხა, ახა, ჩოგირი ვინდა ვამხარებო, რომ ქორბაზე დავტოვებო იგი? — საკუთლო თავზე ხელს მისაძლი, მან შევიდებო, უნდა ვაგვიწოდო... — ახილად შენამხარე არი მძებნება მე ხომ შევა-და ვეგებოდი, ჩოგირიც სიმამარნი იგი ვახიზრებო? მას დავაგვირუცე... — მართალია, დედადანი ჩემს შემდეგ მეორეც ქმრის ხელში მოკლა მე ვერცე პირი ვარ, ვერ ვიდა-ვებ, მაგრამ შენ, ჩოგირიც ვეხლს ხომ ვეძებს შენკედ-რების უფლებები? ახილად შენკედ ვინამხარე ვინამხარე ხარ... — მე რას ამარბაც, ძველში — მეთხანა ავადმუდ-ბებოვანი, ნახებო იგი... — სტარბაში არ მინდებარ... — საკუთლო შემდეგ და ვინამხარე... — სხვის ცოლს ხომ არ ვაგვირბებ, მე რაც კიდევ სა-კუთლო მოგზაურობაში მოვარც, ვეფხ ველოდ ვა-ვადმუდობი, ისიც არაგვიანა ხომ იცი, დარბაზულობა კიდევ ვარ?... ვინ არის ვეფერო? — პირბარაში საკუთლო, მაგრამ მანამე მოვარც, დამუდობი ხელს ვამხარებო, მან-მან ველოდებო, მანამე მოვარც, მანამე მოვარც, მანამე მოვარც...

ბუნაშა მირაბიშვილი



— ბრძანი, იმ ხმებს პირი არ დასაბარო, ისხარავს გარდასმინებულად... მხელური ბაშინი ჯილდამ!

გაბრიელ წულს თბილისში მიიღო წყალსადენი 100 აგური



მეტივებში მუდის თბილისში მდებრი შენობისა... — მართალია, მართალია, მართალია... — მართალია, მართალია, მართალია... — მართალია, მართალია, მართალია... — მართალია, მართალია, მართალია...

ერთი ბალაქიკის ქორეიკა

ბაბო წელი ვარტახტობიდა... — მართალია, მართალია, მართალია... — მართალია, მართალია, მართალია... — მართალია, მართალია, მართალია... — მართალია, მართალია, მართალია...

ბეღლის ბილი მიქლად ითის ამ მსახურს ვიღებ... — მართალია, მართალია, მართალია... — მართალია, მართალია, მართალია... — მართალია, მართალია, მართალია... — მართალია, მართალია, მართალია...

გაქალაქებული გურთისა და მოყვისა

მოყვებ თქვა, ბუცშიშველამან: თერთმეტნი შევკრებით ძმისანი, მოვიწადინეთ, ვაჰკვირდა ბინდორნი ტაშკენტიხანი.

ბურთს ფეხი ვავკარ, შუ-ცა-ვბარ,

ძელნი ყოფილან ზისანი, ვის არ სმენია ქებანი ილიას კუთხურისანი?!
ოქრობიჭობის დრო იყო, დრონ იყვნენ მოგებისანი, აქა იწყება ამბავი იმ დიდი ფეხბურთისანი...

იარებოდა ეროსი და კოტე ენაშხიანი: ჩვენს გუნდს „ტორპედო“ შეკბამია, — გაჯავრებული, ტიალი, ჩვენთა — ფრთით, იმათ

ცენტრითა ერთურთსა მისცეს ზიანი!.. ბოლოს იმარჯვეს ქართველთა, მათ მეტი ჰყავდათ ფხიანი, ფინტი უფინტეს, დაფანტეს დამცველნი ქერათმიანნი, დაატორპედეს „ტორპედო“, გაუშვეს სირცხვილიანი!..

...ვინ დაითვლიდა დაბოლოდ გულის წასვლას და ფრიალსა?! არ გვანებებდა არავინ თასის ახლოდან ტრფიალსაც, გუნდი ახალკაცს უმაღლის — კაცს — უთქმელსა და ჭკვიანსა, კვლავ ვიგონებდეთ გაჭრასა

და გოლს — ყიფიანისასა, მისი დამჭერი ვინ არი, ვაი, დედასა მტრისასა! ბრინჯაო, ვერცხლი, დღეს ოქროც თქვენს ფართო მკერდზე ბრწყინავს!

აღმაც ხნავთ! ასგზის შეგაქებთ, მართლა ხართ საქებარია, გაუტევთ, გაგაქვთ, ვაჰკაფავთ, გფარავდეთ ზურგის ქარია, ქართულ სისტემით თამაშობთ, მეტოქე ამან არია, მიეძალებით ოდეს კარს, — ველარ დაუცავთ კარია! სტადიონისკენ ვინქარით, მიეფრინავთ, მიგვიხარია! ნაკრებში დღესაც კაშკაშებს ჩვენი ფარი და ხმალია!

წელს უფრო მაღლა აფრენა გვწადია ჩვენი გუნდისა! ჩემპიონთ თასსაც ჩავუხტეთ, სულმბზინავსა და სულდიდსა, რა ვუყოთ, თუკი „პერტასთან“ მსაჯობამ გაგვაგულისა! გადახტომამდე ჰობის თქმის იმედი ნუ აქვს ნურვისა, ვინ იცის, იქნებ „ნაპოლიც“ იტალიურად ტირისა, წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა ტირისა, იმასაც დარდი ექნების ნანატრბროლდაკარგულისა!.

ზაზა კაციანაშვილი

ბარათები ნინგს



ამ წერილს წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვედა მალაყიდან ვწერთ! არ გვინდოდა, შეგვეწუხებინე, ადგილზევე ვფიქრობდით საქმის მოგვარებას, მაგრამ არაფერი გამოვიდა. უგზობობამ შეგვაწუხა ძალიან, ზედა მალაყს არა უშავს, მისი გზა ქუთაისი-წყალტუბოს ტრასაზე ვადის, მაგრამ ქვემო მალაყისკენ, გზაზე იმხელა ორმოებია, რომ არც ერთი მძღოლი არ იკისრებს გავლას. ათიოდე წლის წინ პირდაპირ ტელეფონით შეგვეძლო თქვენთან დარეკვა, მაგრამ ახლა ტელეფონის აპარატები გაუქმებული გვიდგას ოჯახებში!..

ლაშაში, ბარაქიან მოსავლიანია ჩვენი სოფელი, ქების სიტყვებს არ იშურებენ თავიანთი სოფლის შესამკობად ორჯონიძის (ხარაგოლის) რაიონის სოფელ ხიდრის კოლმეურნეები, მაგრამ ეს არ კმარაო, წერენ ისინი რედაქციას: მალაზია გვინდა, სადაც პურსა და ასანთს მაინც ვიყიდით, ავტობუსის მოსვლა კოლმეურნეობის კანტორამდე გვინდა, ამისათვის ხიდის მარტო დაპროექტება არ კმარა, აშენებთა საჭირო, გზებსაც კი უნდა ცოტა შეკეთება და ერთი ექიმიც გვინდა, ხანდახან ავადაც ვხდებით!..

აღიგანის რაიონის სოფელ ზემო ენთელის მცხოვრებლებსაც შეუტყვიათ, „ნინგს“ კანონიერი სურვილი-მოთხოვნების შესრულებაში შეუძლია დაგვეხმაროსო და მთელი არზა აფრინეს რედაქციაში: მალაზია გვინდაო, პატარა მალაზია გვექონდა, მაგრამ დაგვიკეტეს, არც გაემტყუნებოდათ, იგი სარდაფში იყო, პროდუქტები ლმებოდა, ვირთხა და თავი ანადგურებდა. ალბათ, შეეშინდათ, ხალხი არ მოიწამლოსო; საყოფაცხოვრებო მომსახურების არც ერთი ობიექტი არა გვაქვსო; ბაგა-ბაღი გვინდაო; ავტობუსის დანიშვნას ოცი წელია ველოდებითო; სკოლას სულ ერთი ოთახი უჭირავს და ერთი მასწავლებელი სამ კლასს ერთდროულად ასწავლისო; ბიბლიოთეკა კი გვაქვს, მაგრამ დანგრეულ შენობაშია მოთავსებული და შიგ მხოლოდ თავგები ბედავენო შესვლას; თხოვნა თხოვნა და რაკი ამდენი ვთქვიოთ, კი იფიქრებთ, რა გესპორტ-გეკლუბებათო, მაგრამ მაინც გავბედავთ და ვიტყვიოთ, რომ კლუბი და სპორტული მოედანიც გვინდაო!..

ლაზოღანის რაიონის სოფელ ცოდნის აბანოს 1978 წლის 28 დეკემბერს მშენებლობის დაწყებიდან 30 წლისთავი უსრულდება! — აცნობეს რედაქციას სოფელ ცოდნის საქმის მცოდნე, აღამიანებმა. ეწუხვართ, რომ ბარათი მოგვიანებით მივიღეთ და მოსალოცო დაქვემდებარების გაგზავნა სოფლის თავკაცებისათვის დაგვიგვიანდა!

ძალამ ქუთაისის ნინოშვილის ქუჩის მე-5 შესახვევის მცხოვრებნი რედაქციას სწერენ, რომ ნავთის ლამფა საახალწლო ჩიჩილაკებივით უდგათ სახლებში და ბავშვებს კედლებზე მოხტუნავე საკუთარი ლანდებით აშინებენ. მიზეზი კი, თურმე, რა ყოფილა: ელექტრომონტიორს უთქვამს, თქვენს ქუჩაში ისეთი წვრილი მავთული შემოდის, სამი მტრედი ერთდროულად რომ დააფრინდეს, გაწყდებაო. ნინოშვილის ქუჩის მცხოვრებნი რედაქციას სთხოვენ, რომ მან სთხოვოს, სადაც ჭერ არს და მათ ქუჩაზე შტატით ერთი ყარაული დაუშვან ფრინველების დასაფრთხობად!..

საუხეხურთო ნაქვესი

- გუნდის კაპიტანმა თქვა: „სანამ წოდებას არ მომიმატებენ, მანამ ჩემს გემოზე არ ვითამაშებო!“
- მამარის მცველების იმედი არ ჰქონდა და კარი ურდულით გადაკეტა.
- მცველს მეტოქის კარი ეშლებოდა და ბურთი საკუთარში გაჰქონდა.
- ორი კურდღლის მადევარი ნახევარმცველი ვერც ერთს ვერ იჭერდა.
- თავდასხმელმა ინატრა: ნეტავ, თამაში გააუქმონ და მარტო თამაშგარე მდგომარეობა დატოვონო.
- ზომიერტი მსაჯი ფეხბურთელებისა და მაყურებლების ნერვებზე თამაშობს.

გალამყვევი მაჯი

გასულ შაბათს, ლოთის ქუჩის სტადიონზე, ერთმანეთს შეხედნენ სასმელთა და დააქადებათა ნაკრები გუნდები, რომელნიც გამოვიდნენ შემდეგი შემადგენლობით:

სასმელთა ნაკრები: მეკარე — ლუდი, მცველები — ჩაი, რძე, ლიმონათი, ბორჯომი; ნახევარმცველები — შამპანური, ყავა, ლიქიორი; თავდამსხმელები — არაყი (გუნდის კაპიტანი), ღვინო, კონიაკი.

დაბავადებათა ნაკრები: მეკარე — შაკიკი, მცველები — ანგიოთსაჰში, სკლეროზი, გასტრიტი, ანგინა; ნახევარმცველები — სტენოკარდია, ასთმა, ბრონქიტი; თავდამსხმელები — ინფარქტი (გუნდის კაპიტანი), სიმსივნე, ციროზი.


მთავარი მსაჯი — დიაგნოზი.

შეხვედრის პირველ ნახევარში ანგარიში გახსნა არაყმა, შემდეგ ღვინომ და კონიაკმა იმარჯვეს და ანგარიში 3:0-მდე გაზარდეს.

მეორე ტაიმში კარგად ითამაშეს დაავადების ნაკრების მოთამაშეებმა — ასთმამ, სიმსივნემ და ციროზმა, რომლებმაც ოსტატურად გამოიყენეს მეტოქეთა მცველების — ჩაის, რძისა და ლიმონათის პასიურობა და ანგარიში გაათანაბრეს. თამაშის ბოლო წუთზე კი, ზუსტად საჭარიმო მოედნის ცენტრში, თამაშის წესი დაარღვია ბორჯომმა, ციროზი მოტეკა, რის გამოც დაჯარიმდა. ჯარიმა კარგად გამოიყენა ინფარქტმა და გადამწყვეტი გოლი გაიტანა სასმელთა ნაკრების კარში. ანგარიშით 4:3 გაიმარჯვა დაავადებთა ნაკრებმა და მოიპოვა „საიტიოს თასი“.

მინა მებაღეშვილი

ნახ. გ. ფირცხალაშვილი




უსიტყვი

ბლომად მოყარეს მასალა, შეიქმნა ორომტრიალი. ვთქვით, რომ, რემონტი კი არა, ეს ექსტრარემონტი არის!

ჩამოხსნეს ყველა ფანჯარა, მოხსნეს კარი და ჭერი, კედლები ათხარ-დათხარეს, დაღვა ბული და მტვერი!..

ერთ კვირას თხარეს, ანგრის, საღდაც ზიდავდნენ მასალებს, და ეზო, როგორც გაავსეს, ეცნენ, ისევე გაცალეს.



და ბოლოს, შრომა მინელდა, როგორც უშეშოდ ცეცხლი, სახლი კი დარჩა კარგა ხანს, ვითარცა ბნელში ბეცი!..

შემკეთებლებო, გემღვრით და ნუ დამრჩებით მწყრალად! — რემონტის ჩქარა დაწყებას, სკოზს, დაამთავროთ ჩქარა!

ვალერიან მოსაზვილი

შეფხვიტოთ კამათი

— ძვირფასო ამხანაგებო! — დაიწყო მთავარმა ინჟინერმა. — მოითმინეთ! — შეაწყვეტინა მთავარმა ენერგეტიკოსმა. — უკაცრავად! — წამოიძახა კადრების განყოფილების გამგემ. — ერთი წუთით! — წამოხტა ადგილკომის თავმჯდომარე. — მაპატიეთ! — დაიყვირა მთავარი ინჟინრის მოადგილემ. — ვაცალოთ ერთმანეთს! — წინადადება წამოაყენა მთავარმა ბუღალტერმა. — რას ჰვარს ეს?! — თავი ველარ შეიკავა საამქროს უფროსმა. — საქმეზე ვილაპარაკოთ, ამხანაგებო! — მაგიდაზე თითი დააკაჟუნა კრების თავმჯდომარემ. — ამხანაგებო! — ისევ დაიწყო მთავარმა ინჟინერმა. — შესავლის გარეშე! — რეპლიკა ისროლა ოსტატმა. — მოეუსმინოთ! — ურჩია კრების მონაწილეებს ქვეოსტატმა. — შეფხვიტოთ კამათი! — დაიძახა ცვლის უფროსმა. კენჭი უყარეს და კამათი შეწყდა.

კრებას ესწრებოდა ვანო ცინცაძემც

ბუნების კანონები ცხოველებში

უბოლოების ნიშანი

ბოლო სიდიდეთაგან უდიდესია ის, ვისაც სხვებზე დიდი ნაცნობი ჰყავს.

მატერიის შენახვის კანონი

ძვირფასი მატერია არც იქმნება და არც იკარგება არამედ ინახება... დასტურებული.

პარალელოგის კოსტულატი

ორი პარალელური ტოლი წრე მანამ არ გადაკვეთს ერთმანეთს, სანამ ერთ-ერთი მათგანი არ დაწინაურდება და არ გაასწრებს მეორეს.

არქიმედის ამოგვლები კალის პარადოქსი

ღვინოში ჩაძირულ სხეულზე მოქმედი ამოგვლები ძალა (ცოლი, გამოსაფხიზლებელი და სხვ.) მით უფრო ნაკლებ ეფექტს აღწევს, რაც უფრო მჩატეა ჩაძირული სხეული.

ჰმელებისა და უკუჰმელების კანონი

ჰმელები უმოქმედობა იწვევს თანამშრომელთა ტოლ და საწინააღმდეგოდ მიმართულ უმოქმედებას.

უსასრულო მცირეთა ჯამი

უსასრულოდ გამეორებულ უსასრულო მცირე შეცდომათა ჯამი შეიძლება უსასრულოდ დიდი გახდეს.

ზიარი ზურგლების კანონი

ზიარ ჰურგლებში ჩასხმული ღვინო ერთ დონეზე დგება, მიუხედავად ამ ჰურგლების სხვადასხვა მოცულობისა და თანამდებობისა.

გაყოფადობის წესი

ჰმელები გამორჩენა უნაშთოდ იყოფა ერთზე, როცა მისი არსებობა მხოლოდ ერთმა იცის, ორზე, — როცა უკვე ორმა იცის, — სამზე, — როცა სამმა იცის და ა. შ..

ახარისხების თვისება

ყველა სიდიდე, ახარისხებული ნულზე, ერთმანეთის ტოლია. ერთი ნებისმიერ ხარისხში ერთია. ერთზე ნაკლები სიდიდე კი მით უფრო პატარავდება, რაც უფრო მაღალ თანამდებობაზე ავხარისხებთ მას.

აკოლონ ბანილია

უთო გასვრონოში!

ალბათ, ბევრმა დიასახლისმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ, თუ უთოს ყიდვას დასჭირდება, „თბილკავიზაპრობის“ № 64 გასტრონომის უნდა მიმართოს პაპინის მუხარამი!

აქ, ტკბილეულის სექციის ვიტრინაში, კანფეტებისა და ნამცხვრების გვერდით, გამოფენილია ორი ჩვეულებრივი ელექტროუთო. იარაღები გვაუწყებენ, რომ ერთი მათგანი 6 მანეთი და 50 კაპიკი ღირს, მეორე კი — 5 მანეთი და 70 კაპიკი. აირჩიე, რომელიც გსურს!

თუ ვიტრინას უფრო ყურადღებით დაათვალიერებ, აღმოჩნდება, რომ აქვე შეიძლება ათმანეთიანი სამგზავრო თერმოსის შეძენა. იყიდება აგრეთვე ფენიანი ჭიქები, 55 კაპიკად ცალი.


ახე დაწვრილებით იმიტომ მოგახსენებთ ყველაფერს, რომ, იქნებ, ვინმეს სჭირდება ეს საქონელი და არა მგონია, გასტრონომში დაიწუოს მისი ძებნა.

შეიძლება, თერმოსსა და ჭიქებს რაღაც შორეული კავშირი კიდევაც ჰქონდეს გასტრონომთან, მაგრამ უთო?! ხომ წარმოგიდგენიათ მოქალაქე, რომელიც კარაქთან, შაქართან და ძხვთან ერთად, უთოსაც გააყოლებს ხელს?!


იმედია, ეს ორიგინალური თაოსნობა მალე გაცდება უთოსა და გასტრონომის ფარგლებს და უფრო ფართოდ გავრცელდება. ალბათ, შორს არ არის ის დრო, როცა ფეხსაცმლის მაღაზიაში დეტექტორი რომანის ყიდვა შეგეძლებათ, ხოლო წიგნის მაღაზიაში ბუცებს ან ჯამჭურჭელს შეიძენთ!

გასტრონომში კი, თუ ტკბილეული მწირად არის, სამაგიეროდ უთოების ფართო ასორტიმენტია. იცოდეთ ეს, დიასახლისებო, და ტყუილად ნუ დაკარგავთ დროს საოჯახო საქონლის მაღაზიებში სიარულით, — პირდაპირ გასტრონომებს მიმართეთ! მზრუნველი ადამიანები გვპირდებიან, რომ მალე, უთოსთან ერთად, აქვე შეიძენთ სარეცხ ფხვნილს, საშარველს, ქოლგას და ათას სხვა საჭირო წვრილმანს!

პაპატა ნაცვლიშვილი



ნახ. შ. დენისაძისა



— ამხელა ძალის კატრონს ცემა როგორ გავიგებდნენ?! — „ლაიკის“ ჟურნალში ეცხვით და, ხომ იცო, ძალის ძალის ტყავს

არ დახვს!

